



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



სახელმწიფო ენის დეპარტამენტი



ოსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი



გიორგი ახვლედიანის სახელობის
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

სამეცნიერო კონფერენცია
ქართველოლოგია - გუშინ, დღეს, ხვალ

ედღვნება 1978 წლის 14 აპრილს

პროგრამა და თეზისები

თბილისი

2019



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



სახელმწიფო ენის დეპარტამენტი



თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი



გიორგი ახვლედიანის სახელობის
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

სამეცნიერო კონფერენცია
ქართველოლოგია - გუშინ, დღეს, ხვალ

ეძღვნება 1978 წლის 14 აპრილს

პროგრამა და თეზისები

თბილისი

2019

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

პროფესორი რამაზ ქურდაძე

ასოცირებული პროფესორი თინათინ ბოლქვაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

რეგლამენტი:

მოსხენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა ქართული

17 აპრილი

10³⁰ – 11⁰⁰

რეგისტრაცია

ილია ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ-ის I კორპუსი, 107-ე აუდიტორია

11⁰⁰ – 13³⁰

კონფერენციის გახსნა

მისალმებები

ილია ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ-ის I კორპუსი, 107-ე აუდიტორია

I სხდომა

სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი თინათინ ბოლქვაძე

11⁰⁰ – 11²⁰

ცინა ზარამიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული სალექსიკონო ერთეულების ინდექსი „კავკასიურ ენათა
სამეცნიერო ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის“

11²⁰ – 11⁴⁰

მარინა ბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ქართული დიალექტოლოგიური კორპუსის კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია

11⁴⁰ – 12⁰⁰

რევაზ აბაშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული, როგორც საერთოქართველური ფუძეების ძირითადად
იდენტური სტრუქტურის ენა

12⁰⁰ – 12²⁰

რუსუდან ზექალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წყვეტილის ფორმის ტრანსსემანტიზაციის ერთი შემთხვევა ქართულში

12²⁰ - 12⁴⁰

მაია ლომია, ქეთევან მანგიანი, რამაზ ქურდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეპისტემიკურ-ევიდენციალური სემანტიკის გამოხატვა ორგანული და
აღწერიითი ფორმებით ქართულ ენებში

12⁴⁰ - 13⁰⁰

სალომე ოშიაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
„კაზმვა“ / „კმაზვა“ – ფონეტიკური ცვლილებიდან მნიშვნელობის
დიფერენცირებამდე

13⁰⁰ - 13²⁰

მაგული ღამბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დინამიკური მოდალური სემანტიკის გამოხატველი ანალიზური და
სინთეზური მზნური ფორმები ქართულ სამწერლობო ენაში

13³⁰ - 14⁰⁰

შესვენება

14⁰⁰ - 17⁰⁰

II სხდომა

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი რამაზ ქურდაძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ-ის I კორპუსი, 107-ე აუდიტორია

14⁰⁰ - 14²⁰

კახა გაბუნია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელმწიფო ენის სწავლება და ბილინგვური სკოლის მოდელი

14²⁰ - 14⁴⁰

ლია ქაროსანიძე
თსუ-ის არ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ქართული ტერმინთსაცავი (ქართული ტერმინოლოგიური სკოლა და
ევროპული გამოცდილება)

14⁴⁰ – 15⁰⁰

თეა ზურჭულაძე

თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
შესიტყვების საკითხი პანანომაზიულ გამოთქმებსა და კომუნიკატივებში

15⁰⁰ – 15²⁰

მედეა ღლონტი

თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ქრისტიანული არჩევანი და თავისუფლება

15²⁰ – 15⁴⁰

ნინო ციხიშვილი

თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
იულიუს ასტალვი – ქართული კულტურის მკვლევარი (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

15⁴⁰ – 16⁰⁰

ქეთევან ჭილაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მეტყველების მონოფო-სინტაქსური თავისებურებები

16⁰⁰ – 16²⁰

გვანცა მღვდელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თავდაცვის სამინისტროს დოქტრინების განვითარების ცენტრი
ზოგიერთი სამხედრო ტერმინის ვარიაციული განვითარება და პენსპექტივები

16²⁰ – 16⁴⁰

გიორგი ჯლანკავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეტიმოლოგიური ძიებანი: სვანური მურყაამ

რეგამ აბაშია

ქართული, როგორც საერთოქართველური ფუძეენის ძირითადად იდენტური სტრუქტურის ენა

საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის შედეგად, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა ქართული, ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური ენობრივი ერთეულები. ამ პროცესს ახლდა როგორც ფუძეენიდან მომდინარე საერთო ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსების შენარჩუნება, ისე განსხვავებული ენობრივი მოვლენების გაჩენა, რასაც მოჰყვა მეტ-ნაკლებად ასევე განსხვავებული სტრუქტურული თავისებურებების მქონე რამდენიმე ლინგვისტური ტიპის ჩამოყალიბება. ვფიქრობთ, თავდაპირველად საერთოქართველური ფუძეენა დაიშალა ქართულ და ზანურ-სვანურ ენობრივ ერთეულებად. დიფერენციაციის შემდგომი ეტაპი, როგორც ჩანს, ქართული ენის სტრუქტურულ ცვლილებებს კვლავაც არ იწვევს, მაგრამ შეეხო ზანურ-სვანურ ენობრივ ერთობას და გამოიწვია ამ ერთობის დაშლა ზანურ (მეგრულ-ლაზურ) და სვანურ ენებად. სტრუქტურული ცვლილებების პროცესში მთავარი ფაქტორი ფონოლოგიური მოვლენები უნდა ყოფილიყო. ქართულში საერთოქართველური ფუძეენის ბგერითი შედგენილობა, ძირითადად, უცვლელი რჩება, მაგრამ მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს განიცდის ზანურსა და სვანურში. კერძოდ, ქართველური ფუძეენის წინა რიგის სიბილანტური სპირანტებისა და აფრიკატების უკანა რიგისკენ გადაწევა გახდა ძირითადი მიზეზი დიფერენციაციის პირველ საფეხურზე საერთო ზანურ-სვანური ლინგვისტური ტიპის ჩამოყალიბებისა. შემდგომ ეტაპზე ხმოვანთა გადაწევას ზანურში და თანხმოვანთა სისტემატიურ ფონეტიკურ ცვლილებებს სვანურში მოჰყვა ზანური და სვანური ენობრივი ერთეულების შექმნა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული ფონოლოგიური მოვლენები ზანურ და სვანურ ენებში დროთა განმავლობაში განხორციელებული მორფოლოგიური და, განსაკუთრებით, ლექსიკური ცვლილებების მიზეზიც გამხდარა. ამდენად, საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართველური ენებიდან, ძირითადად, ქართულმა შეინარჩუნა ფუძეენის დროინდელი სტრუქტურული მოდელი(ფუძეენა *კ ა ც ი > ქართული *კ ა ც ი), ზანურსა და სვანურში კი ფუძეენასთან საერთო იზოგლოსების შენარჩუნების პარალელურად ჩნდ-

ბა მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური მოვლენები (ფუძენა *კ ა ც ი > ზანური *კ ა ჩ ი > კ ო ჩ ი; ფუძენა *კ ა ც ი > სვანური *კ ა ჩ ი > *კ ა შ ი > *კ ა შ შ > ჭ ა შ).

ცირა ბარამიძე

ქართული სალექსიკონო ერთეულების ინდექსი „კავკასიურ ენათა სამენოვანი ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის“

საქართველოში კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი უნდა შექმნილიყო XX საუკუნის ბოლოს მაინც, მაგრამ ვერ განხორციელდა არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო. ამჟამად, პროფილის შესაბამისი სამეცნიერო საბჭოს მიერ შედგენილია სამეცნიერო პროექტი „კავკასიურ ენათა სამენოვანი ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონი“. პროექტი შედგება სამი საფეხურისაგან: ქართული, ქართველური და იბერიულ-კავკასიური; იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური სალექსიკონო ერთეულების პროგრამული უზრუნველყოფა დაკავშირებულია ქართულ-ქართველურ ლექსიკურ ერთეულებთან. იგი სრულყოფილი ვერ იქნება, თუ საკუთრივ ქართული ენის ეტიმოლოგიურ ერთეულებს ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ სათანადო მასალასთან მიმართებით არ განვიხილავთ. ამის შესაბამისად, ქართველთა ლინგვოკულტუროლოგიური ეთნოგენეზი სხვა კავკასიელთა და ასევე პალეოკავკასიურ ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

ლექსიკონი იყოფა ორ ნაწილად: ინდექსი და ეტიმოლოგია. პროექტი ინოვაციურია, რადგან პრინციპულად განსხვავდება მსოფლიოში დღემდე არსებული ეტიმოლოგიური ლექსიკონებისაგან, საძიებო სისტემით სამი ენის, ინდექსის, პარამეტრების მიხედვით. პროექტი არის ათასწლეულის გამონგვევა ქართული სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით რთული გეოპოლიტიკური არეალისა და დღეს არსებული ვითარების გამო. პროექტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა, რადგან საქართველო არის კავკასიოლოგიის საერთაშორისოდ აღიარებული ცენტრი და აღნიშნული ამოცანის გადაჭრა მისი პრეროგატივა და უპირველესი მოვალეობაა; პროექტს აქვს, იმავდროულად, პრაქტიკული მნიშვნელობა. ეს არის ქართველი ერის „პასპორტი“ ცივილიზებულ სამყაროში.

მოსხენებაში გაანალიზებულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლექსიკონის შექმნას ქართველთა და სხვა ავტოქთონი ეთნოსების გენეზისსა და, ასევე, ამ სამეცნიერო პრობლემის ემპირიული მასალის მიხედვით გადაჭრასთან; ლექსიკონი სასტარტო ერთეულად – ინდექსად

იღებს ქართული ენის სალექსიკონო ერთეულებს ილუსტრირების გარეშე, რადგან ქართული ენა არის ერთადერთი დოკუმენტირებული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის. ლექსიკონში აისახება ქართველურ ძირებთან დაკავშირებული საერთო წარმომავლობის კავკასიური ენობრივი მასალა. სწორედ ამიტომ ამგვარი ლექსიკონის შედგენას ქართული მეცნიერების ისტორიაში არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, ძირითადად, აღიბეჭდება კავკასიური მოდგმის ხალხების მიერ ათასწლეულების განმავლობაში შექმნილი კულტურა, მსოფლმხედველობა და, საერთოდ, კავკასიური ფუძემდებლის ქრონოლოგიურ დონეზე არსებული კულტურულ-ყოფითი და სოციალური რეალიების ლინგვისტური სურათი.

მარინა ბერიძე

ქართული დიალექტოლოგიური კორპუსის კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია

პროექტი – „დიდი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიული ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი (GEDA)“¹ – არის ლოგიკური გაგრძელება დიდი პროექტისა – „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ენობრივი სივრცის ფართომასშტაბიან დოკუმენტირებასა და კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროექტით დაგეგმილი სამუშაო ორი მიმართულებით წარიმართა:

1. დიალექტური კორპუსის, როგორც ლექსიკოგრაფიული ბაზის, ინფორმაციული სრულყოფა (ტექსტებისა და ლექსიკონების ციფრული კოლექციის შევსება, მეტატექსტური და ლინგვისტური მონაცემების დართვა, ონლაინ-ლექსიკონების გამოსაქვეყნებელი ვერსიების მომზადება);

2. ლექსიკოგრაფიული ბაზის ტექნოლოგიური ინსტრუმენტების შექმნა/განვითარება; ონლაინლექსიკონების შექმნისა და ძიება/ვიზუალიზაციის ინსტრუმენტების სრულყოფა და შექმნა; ბეჭდური ვერსიის ავტომატურად გენერირების ფუნქციონალის შექმნა; კორპუსული მონაცემების კარტოგრაფიული ვიზუალიზაციის ტექნოლოგიური ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენებით ქართული დიალექტების პირველი ელექტრონული ატლასის შექმნა.

პროექტის ფარგლებში განვითარდა არსებული პლატფორმა და შეიქმნა მოქნილი ინსტრუმენტი ვრცელი ლექსიკოგრაფიული მასალის რთუ-

¹ პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N 2017008)

ლი ლინგვისტური და არალინგვისტური ინფორმაციით გამდიდრებისა და სტრუქტურირებისათვის და სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების მოსამზადებლად.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული კარტოგრაფიული კომპონენტი მოიცავს ინტერაქტიური, დინამიკური რუკების მობილიზების საშუალებას. დღეისათვის შესაძლებელია სიტყვაფორმებისა და ლემების, აგრეთვე მეტატექსტური მონაცემების კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია როგორც საქართველოს, ისე ქართული ენის გავრცელების სხვა ტერიტორიებზეც (ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი), შესაძლებელია ოკუპირებული ტერიტორიების ვირტუალური „აღდგენა“ და სათანადო მეტამონაცემებით აღჭურვილი ტექსტური მასალის ინტეგრირების შემდეგ ამ მასალის ძველ, ოკუპირებამდელ საზღვრებში კარტოგრაფირება.

კორპუსის კარტოგრაფიული კონცეფცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართული ლინგვოგეოგრაფიის მიმართულებით. კარტოგრაფიული ვიზუალიზაციის მექანიზმი ისეა დაგეგმილი, რომ მას დაეყრდნოს მომავალი პროექტები, რომლებიც ენობრივი, კულტურული და სხვა ხასიათის ინფორმაციის კარტოგრაფიულ ასახვასთან იქნება დაკავშირებული, შეიქმნას ცალკეული ენობრივი მოვლენების გავრცელების არეალური და დიალექტური რუკები მიგრაციული პროცესების გათვალისწინებით და ა. შ.

დიდ ქართულ დიალექტურ ლექსიკოგრაფიულ ბაზას აქვს პოტენციალი, კიდევ უფრო ფართოდ დაინერგოს სასწავლო-სამეცნიერო სივრცეში და იქცეს სხვადასხვა საფეხურის სასწავლო კურსების სილაბუსის ნაწილად, როგორც აუცილებელი ინსტრუმენტი მრავალმხრივი ლინგვისტური და ინტერდისციპლინური კვლევებისათვის. ტრანსლიტერაციის საერთაშორისო სისტემაზე გადაყვანის ფუნქციონალი პროექტის შედეგების ინტერნაციონალიზაციის ფართო შესაძლებლობას იძლევა.

მთავარი სიმდიდრე, რომელიც უკვე შექმნილია ამ პროექტის ფარგლებში, არის ის, რომ ჩვენი რუკები არ „ცნობენ“ ოკუპაციის საზღვრებს. ისინი „ეძებენ“ და პოულობენ ტექსტებსა და სიტყვებს მავთულხლართების მიღმა. ოკუპირებული ტერიტორიების ლინგვისტური პორტრეტის შექმნა/სრულყოფა და შემდგომ მისი კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია ჩვენი მომავალი პროექტების გადაუდებელი ამოცანაა.

თეა ბურჭულაძე

შესიტყვების საკითხი პარანომაზიულ გამოთქმებსა და კომუნიკატივებში

საინტერესოა შესიტყვებათა საკითხი ისეთ წინადადებებში, რომლებშიც პარანომაზიული გამოთქმებია. ქართულში პარანომაზიის შემთხვევები ჯერ კიდევ ბიბლიურ ტექსტებში გამოიყენებოდა, სადაც ერთი ვერბალი ცნება გადმოცემულია ერთი და იმავე ძირიდან ნაწარმოები ორი ზმნური სიტყვით. ის გვხვდება ახალ ქართულშიც: „ზოგჯერ იგი მათი სიცილით იცნის და მათი ტირილით ტირის“. „მოტეხით ერთი წკირიც არ მოუტეხია“: „შეძლე- შით კი შეიძლება, მაგრამ ნიშნობაში მეც უნდა ვიყო“; „მამა უაღრესად სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა“ (კვაჭაძე).

რამდენადაც ქართული პარანომაზიული გამოთქმების შემადგენელ წევრთა სინტაქსურ რაობაზე შეუძლებელია მსჯელობა, ცხადია, იგი ცალკე სახით ვერ შექმნის შესიტყვებას. ის მთლიანად მიემართება ერთ წევრს, იმ სიტყვას, რომელსაც სინტაქსურად უკავშირდება:

1. ზოგჯერ სიცილით იცინის
2. მათი სიცილით იცინის
3. მათი ტირილით ტირის
4. იგი სიცილით იცინის

შესიტყვების გამოყოფის საკითხი დგას კომუნიკატივებთანაც. კომუნიკატივებად მიჩნეულია: ე. წ. სახელდებითი წინადადებები, ცალკეული წამოძახილები, ამბები, გაზეთებისა თუ ჟურნალების სახელწოდებანი, ნაწარმოებთა სათაურები და ქვესათაურები, შორისდებულები და მიგებითი ნაწილაკები.

ჩამოთვლილ კომუნიკატივებში არ დადგება შესიტყვების გამოყოფის საკითხი, მათ შორის არც სახელდებითი წინადადებებში: „ახოვანი ტანი, მაღალი კეთილშობილური შუბლი, მშვენიერი მოზრდილი წვერი, მშვენიერივე გამომეტყველებით აღსავსე დიდრონი თვალები“; „სუფრაზე გრძელი და მოსაწყენი სადღეგრძელოები, ერთმანეთის უზომო ქება, ვილაცის კილვა და დაცინვა, მეგობრობისა და ერთგულების მტკიცებითა, ღვინის დაძალება და დანამუსება“; „კარში პირქვე ჩანოლილი მამა და მის ზურგზე ტალახიანი ტერფის ანაბეჭდი; თვალვებდაჭყეტილი, მაგიდის ფეხს ჩაფრენილი ბები“ა. მართალია, გარკვეულწილად მასში შემავალ სიტყვებს ერთმანეთთან აზრობრივი მიმართება აქვთ, მაგრამ ეს არ არის სინტაქსური კავშირი. მთავარი ფაქტორი, რის გამოც დასახელებულ წინადადებებში არ გამოიყოფა შესიტყვებები, ისაა, რომ კომუნიკატივები მხოლოდ ერთიანი ინტონაციის მქონე ერთეულებია. გარდა ამისა, სინტაქსური კავშირი არ მყარდება

იმით, რომ მოყვანილ წინადადებებში დაუნაწევრებელი ერთეულებია და არა წინადადების წევრები. შესიტყვება კი მხოლოდ წინადადების წევრებს შორის შეიძლება წარმოიქმნას.

კახა გაბუნია

სახელმწიფო ენის სწავლება და ბილინგვური სკოლის მოდელი

1. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის მართებულად დაგეგმვისათვის აუცილებელია, კარგად იქნეს გააზრებული ინტეგრაციის მთავარი მიზანი და პრინციპი – ჩართულობა. ჩართულობა გულისხმობს ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელიც ინფორმირებულია სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობაზე, ჩართულია მიმდინარე პროცესებში (სახელმწიფოს მართვა, ეკონომიკური და კულტურული დოვლათის შექმნა და სხვ.).

2. მნიშვნელოვანია, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი განვითარდეს ჰარმონიულად, 2 კომპონენტის ურთიერშეთანხმებით: ა) სახელმწიფო ენის სწავლების უზრუნველყოფა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება (მოქალაქის ცნების გააზრება); ბ) ეთნიკური ჯგუფების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და დაცვა.

3. საქართველოს განათლების სისტემა აგრძელებს ჯერ კიდევ საბჭოურ ეპოქაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლებში უმცირესობათა ენა წარმოადგენს სწავლების ერთადერთ ენას (ე. წ. მონოლინგვური მოდელი). აღნიშნული სისტემის დადებითი ასპექტი არის ის, რომ ენობრივ უმცირესობებს შესაძლებლობა ეძლევათ, განათლება მიიღონ მშობლიურ ენაზე (შესაბამისად, ეთნიკური ჯგუფების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და დაცვას შეუწყოს ხელი).. თუმცა, ამგვარი განათლების სისტემა პოზიტიური დისკრიმინაციის ელემენტებს ატარებს, რადგან ყოფს ბავშვებს ეთნიკური და ენობრივი ნიშნით... ეს კი ხელს უშლის სამოქალაქო / სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას.

4. მოხსენებაში გაანალიზებულია მონოლინგვური მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები; ამასთან, შემოთავაზებულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის ადეკვატური ბილინგვური სკოლის მოდელი.

რუსუდან ზექალაშვილი

წყვეტილის ფორმის ტრანსსემანტიზაციის ერთი შემთხვევა ქართულში

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში სერიებად და მწკრივებად დაყოფას აქვს მორფოლოგიური და სინტაქსური საფუძველი. ზმნური ფორმების წარმოება და სისტემა ქართულში მწყობრია და ემყარება წმინდა სტრუქტურულ ნიშნებს, მაგრამ თითოეული მწკრივის სემანტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. დროისა და კილოს კატეგორიები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მათი განსაზღვრისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტია კონტექსტი.

წყვეტილის მწკრივის მეორე პირის მხ./მრ. რიცხვის ფორმა შეიძლება იყოს როგორც თხრობითი, ისე ბრძანებითი კილოსი, მათი ერთმანეთისაგან გამოიყვანა კი მხოლოდ კონტექსტის მოშველიებით არის შესაძლებელი. ამ დიფერენცირებაზეა დამოკიდებული დროის განსაზღვრა: თუ კილო თხრობითია, დრო წარსულია, ხოლო, თუ კილო ბრძანებითია, დრო მომავალია.

თხრობითი კილოს ფორმის ტრანსსემანტიზაციით შესაძლებელია კიდევ ერთი ნიუანსის გამოხატვა წყვეტილში: ესაა ნატვრა ან სურვილი. ამ შემთხვევაში აშკარაა ზმნის ფორმისა და შინაარსის დაცვლება: იკარგება გრამატიკული სუბიექტი, რომლის ნიშანი ზმნაში შენარჩუნებულია, ანუ ხდება ზმნის იმპერსონალიზაცია. ამას თან სდევს სხვა ცვლილებებიც: ობიექტი ტრანსფორმირდება რეალურ სუბიექტად და ზმნა ხდება ინვერსიული. ვისაც ნატვრა ან სურვილი მიემართება, ის გრამატიკულ ობიექტად იქცევა, რეალურად კი აღმქმელი სუბიექტია: *ნეტა მანახა (მე)!* (შდრ. *მანახა მან მე ის > მანახა მან მე*, იგივეა, რაც: *ნეტა ვნახავდე!*).

ივკლება დროც: წყვეტილს დასახელებული ტიპის წინადადებებში მომავლის გაგება აქვს ისევე, როგორც ბრძანებითი კილოს ფორმაში.

ამას გარდა, ზმნის ფორმის მიხედვით სავარაუდო პირთა რაოდენობა ერთით მცირდება, რადგან გრამატიკული სუბიექტი დაკარგულია, ხშირია კაუზატიურ ფორმათა გამოყენება: *ნეტა დამანერინა (მე ის)!* შდრ. *დედამ მე დავალება დამანერინა. ნეტა/რომ გამომავგონებინა (მე)!* შდრ. *გამომავგონებინა (მან მე)*.

თუკი საჭიროა ერთ- ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შინაარსის გადმოცემა, მაშინ გამოიყენება ფორმით ორპირიანი გარდასავალი ზმნა, რომელიც ერთპირიანად იქცევა: *ნეტა მაცხოვრა (მე)!* შდრ. *მაცხოვრა (მან მე). ნეტა ჩამიყვანა (მე)!* შდრ. *ჩამიყვანა (მან მე)*.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ზმნასთან დატიური კონსტრუქცია გამოიყენება წყვეტილშიც (მეორე სერიაში). ამ მოვლენის სინტაქსური მექანიზმი იგივეა, რაც აქტიურ ზმნებთან მესამე სერიაში: გრამატიკული სუბიექტი (იგივე რეალური სუბიექტი) იქცევა გრამატიკულ ობიექტად (*ვუშენებ მე მას მას - ავუშენე მე მას ის - ამიშენებია მე ის*).

მაია ლომია, ქეთევან მარგიანი, რამაზ ქურდაძე

ეპისტემიკურ-ევიდენციალური სემანტიკის გამოხატვა ორგანული და აღწერითი ფორმებით ქართველურ ენებში

ევიდენციალობა, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის კატეგორიაა, რომელიც მიუთითებს ინფორმაციის წყაროზე და გამოხატავს *მოქმელის* დამოკიდებულებას საკუთარ ნათქვამთან. ინფორმაციის წყარო, რომელსაც ინფორმატორი ეყრდნობა, ბევრნაირი შეიძლება იყოს: მოყოლილი ამბავი, სიზმრად ნანახი, წინასწარ განჭვრეტილი, საკუთარი გამოცდილებისა თუ ფონური ცოდნის შედეგი.

ვერბალური ან უშუალოდ კვალზე დამყარებული ინფერენციული ინფორმაციის წყაროს არსებობის შემთხვევაში მოქმელის მიერ ინფორმაციის სანდოობის შეფასება არ ხდება და მხოლოდ ე. წ. უნახაობას ესმება ხაზი; გამოცდილებასა თუ ფონურ ცოდნაზე დამყარებული ინფერენციული წყაროს შემთხვევაში კი, პირიქით, ინფორმაცია გადმოიცემა როგორც საეჭვო-სავარაუდო, ანუ შემოდის ეპისტემიკური მოდალობა. ყოველივე ეს აფართოებს ევიდენციალობის კატეგორიის საკვლევ არეალს და ენობრივად გამოკვეთს *მოქმელის მიმართებას ვარეშე წყაროდან (ვერბალობა, ინფერენცია) მიღებულ ინფორმაციასთან*; შესაბამისად, ქართველური ენების მონაცემების მიხედვით ევიდენციალობის ორი ტიპი განიხილება: არამოდალიზებული ევიდენციალობა და მოდალიზებული (ეპისტემიკური). ეპისტემიკური ევიდენციალობა აღწერითად ყველა ქართველურ ენაში შეიძლება გადმოიცეს, ხოლო, რაც შეეხება ორგანულ წარმოებას, დასტურდება სვანურსა და მეგრულში.

მოსხენებაში დეტალურად განვიხილავთ ორგანული წარმოების ეპისტემიკურ-ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სტრუქტურასა და სემანტიკას, საკითხის კვლევის ისტორიის გათვალისწინებით.

კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის – „ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ (№217300) – ფარგლებში.

გვანცა მღვდელაძე

ზოგიერთი სამხედრო ტერმინის ვარიაციული განვითარება და პერსპექტივები

ქართულ სამხედრო ტერმინოლოგიას დიდი ხნის ისტორია აქვს, საქართველოს ისტორიისა და სამხედრო პოლიტიკიდან გამომდინარე. დღესდღეობით დიდი გამოწვევების წინაშე დგას სამხედრო ტერმინოლოგია, რადგან ძირითადი ბაზა შეიქმნა საბჭოთა კავშირის პერიოდში, ახლა კი ჩვენს ქვეყანას პროამერიკული ორიენტაცია აქვს არჩეული. შეიცვალა ვითარება, სისტემა, ტექნიკა, ბრძოლის მეთოდები, სწავლება და, შესაბამისად, იცვლება ტერმინოლოგიაც.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იქნება ორ მეტად მნიშვნელოვან და ძირითად ტერმინზე, რომლებიც ყოველდღიურად იხმარება თითქმის ყველა სამხედრო უწყებაში. ესენია: „არმია“ და „მეთაური/ლიდერი“.

ტერმინი „არმია“ მოდის ინგლისური სიტყვიდან *armed*, რომლის ფუძეც ფრანგული წარმოშობისაა. ტერმინი ითარგმნება, როგორც „ვაიარალებ“. მას დიდი ხნის ისტორია აქვს და მისი ძირი ინდოევროპულ ენებში უნდა ვეძიოთ. *army* → *armed (force)* → *armee* (შუა საუკ. ინგლის.) → *armee* (ანგლონორმანდიული ან ძვ. ფრანგული) → *armāta* (“armed force”) (შუა საუკ. ლათ.) → *armāre* (“to arm”) (ლათ.). ეს დაკავშირებულია *arma*-სთან, რომლის ძირიც არის პირველი ინდოევროპული **h₂er-* (შეერთება, გაერთიანება, ერთმანეთის შესაბამისი). ეს ტერმინი გვხვდება ანტიკურ ბერძნულშიც: *ἀρθμός* (*arthmós*).

სხვადასხვა ლექსიკონში განსხვავებული განმარტებები აქვს ამ ტერმინს, თუმცა საერთო ის არის, რომ ეს ტერმინი აერთიანებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ძალებს, მაგრამ ვინაიდან დღეს თავდაცვის სამინისტროს აღარ ჰყავს არც საზღვაო და არც საჰაერო ძალები, აუცილებელი გახდა ამ ტერმინის ჩანაცვლება. ტერმინი რამდენჯერმე შეიცვალა ბოლო 4-5 წლის განმავლობაში და შეიძლება კვლავ შეიცვალოს.

მეორე ტერმინია „მეთაური/ლიდერი“. „ლიდერი“ შედარებით ახალი ტერმინია, და ჯერ არ დამკვიდრებულა შეიარაღებული ძალების ყველა უწყებაში და მას სხვა სიტყვებით (მეთაური, სერჟანტი, ხელმძღვანელი) ანაცვლებენ. მართვის ახალი მეთოდებისა და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, სამომავლოდ ეს ახალი ტერმინი დამკვიდრდება თავდაცვის ძალებში.

საქართველოს თავდაცვის ძალებში ძალიან სწრაფად იცვლება ვითარება, შესაბამისად, იცვლება ტერმინოლოგიაც. დღევანდელი ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, დიდი ალბათობით, კვლავ უნდა ველოდოთ ტერმინების ცვლილებებს. მთავარია უხეშად არ დაირღვეს ქართული ენისა და თარგმანის ნორმები.

სალომე ომიაძე

„კაზმვა“ / „კმაზვა“ – ფონეტიკური ცვლილებიდან მნიშვნელობის დიფერენცირებამდე

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, კმაზ[ვ]ა იგივეა, რაც კაზმვა, რომელიც ამავე ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული: „1. მორთვა; 2. მომზადება ცხენისა სამგზავროდ (უნაგირის დადგმა, ალვირის გაკეთება და მისთ.); 3. სანელებლის კეთება საჭმლისათვის; 4. ყდაში ჩასმა (წიგნისა ...); 5. დარჩევა, დარკვევა (მარცვლეულისა)“. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ კი, რომელიც, ქეგლისაგან განსხვავებით, ნორმატიული ტიპისაა, შემდეგ აკრძალვას გვთავაზობს: „[კმაზვა კი არა] კაზმვა“.

ამ მონაცემების მიხედვით, „კაზმვა“ სალიტერატურო ფორმაა, ხოლო მისი ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი „კმაზვა“ – არანორმატიული (ივანე ჯავახიშვილი „შეკმაზვას“ ყველგან „შეკაზმვად“ ასწორებდა).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება: „კაზმა – მორთუა“ და მისი პირიანი თუ მიმღებური ფორმები: „კაზმაჲ – კაზმასა ვიქ“; „იკაზმეზოდა – კაზმას ჰყოფდა“; „მკაზმაჲ – კაზმის მოქმედი“; „ნაკაზმი“ – კაზმაქმნილი“; „საკაზმაჲ – კაზმის საჭმარი“; „შეკაზმა – ცხენი უნაგრით მოერთო, გინა ხე შეეკაჲ“. ცალკე ერთეულადაა შეტანილი „კაზმვა – დარჩევასავით“, დასტურდება მისი კაუზაცური ფორმა „დააკაზმინე – დაარჩევინე“. იქვე „კაზმი“ განმარტებულია როგორც „ასაკიდარი თოკი რიკოვანი“.

„კაზმვა“ (და „კაზმ“ ძირის დერივატები) ძველ ქართულში სამი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება, ესენია: მორთვა / შემკობა, გამზადება და შეიარაღება.

მოსხენებაში განვიხილავთ „კაზმ“ და „კმაზ“ ძირებისაგან ნაწარმოებ ერთეულებს, მათი მონაწილეობით შექმნილ კონტექსტებს ძველ, საშუალოსა და ახალ ქართულში; გავაანალიზებთ გზას ფონეტიკური ცვლილებიდან მნიშვნელობის დიფერენცირებამდე; მიმოვიხილავთ უახლეს საცნობარო ლიტერატურას, რომელშიც ფონეტიკურად სახეცვლილი „კმაზავს“ დამოუკიდებელ ლექსებადაა მიჩნეული, წარმოვადგინო ჩვენს მოსაზრებას „კაზმავს“/„კმაზავს“ და მსგავსი წყვილების – „შეკაზმული“/„შეკაზმული“; „საკაზმი“/„საკაზმი“ – პარონიმებად კვალიფიკაციის შესახებ.

მაგული ღამბაშიძე

დინამიკური მოდალური სემანტიკის გამომხატველი ანალიზური და სინთეზური ზმნური ფორმები ქართულ სამწერლობო ენაში¹

შესაძლებლობის სემანტიკა ძველ ქართულში აღწერილად გადმოიყვმოდა. შინაგანი ან შექცნილი უნარი, ცოდნა და სიტუაციით განპირობებული შესაძლებლობა, გამოიხატებოდა ზელ-ეწიფეზის, ძალ-უძს>ძალ-უც რთული სინონიმური მნიშვნელობის ზმნებითა და მათგან მიღებული სახელზმნური ანალიზური ფორმებით. ერთი მხრივ, გვექონდა: ზელ-ეწიფეზის, ზელმწიფეზად აქუს, ზელმწიფე არს, მეორე მხრივ, ძალ-უძს>ძალ-უც, შემძლებელ არს, შესაძლო არს, შეძლებად აქუს, ძალი აქუს, ძალი შესწევს, ძალი მოეცა ფორმები.

ზელ-ეწიფეზის ფორმას ქართულში დინამიკური სემანტიკის გამომხატველი სინთეზური ფორმა არ ეძებნება, ძალ-უც ზმნის სინთეზურ შესატყვისად X საუკუნიდან განვითარდა ობიექტური ნყოზის შემიძლია ფორმა (სარჯველაძე 1984:413). საშუალი ქართულიდან კი პარალელურად დასტურდება ძალ ძირისაგან ნანარმოები სუბიექტური შემძლებ ზმნის სინთეზური ფორმები. შეძლება ზმნის ობიექტური და სუბიექტური ფორმები სემანტიკურად გამოხატავდნენ და გამოხატავენ როგორც „ნეიტრალურ“, ისე „სუბიექტზე ორიენტირებულ“ სემანტიკას.

მიუხედავად სინთეზური ფორმების დომინანტურობისა, ახალ ქართულში შესაძლებლობის გამოხატვისას დასტურდება ანალიზური ფორმები: შესაძლებლობა აქუს, ექნება, მიეცა, ეძლევა; უნარი აქუს, უნარი შესწევს. შესაძლებლობა მასდართა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ზმნით მიღებული ფორმები „ნეიტრალურ“ დინამიკურ სემანტიკას გამოხატავენ და არ მიუთითებენ შინაგან თუ შექცნილ ცოდნაზე, უნარზე. რასაც ვერ ვიტყვით უნარი აქუს, უნარი შესწევს „სუბიექტზე ორიენტირებული“ სემანტიკის ფორმებზე.

დინამიკური სემანტიკის გამოსახატავად ქართულში დასტურდება ხერხ ძირისაგან ნანარმოები ნასახელარი ზმნებიც: უხერხდება, ეხერხება, ახერხებს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ ქართულში შესაძლებლობის სემანტიკა სინთეზურად გამოიხატება, ზოგჯერ ვხვდებით რთულ ზმნებსაც (ხელეწიფეზა, ძალუძს). ამ ფორმათა გამოყენება არქაულობის გამო არასისტემურია, ამიტომ დინამიკური სემანტიკის გამომხატველ ძირითად საშუალებად ახალ ქართულში სინთეზური წარმოება გვესახება.

1 კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 218 000 „მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში“.

ლია ქაროსანიძე

ქართული ტერმინთსაცავი (ქართული ტერმინოლოგიური სკოლა და ევროპული გამოცდილება)

ტერმინოლოგიური ბაზების შექმნა ევროპაში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. ბაზების შექმნის უმთავრესი მიზანი იყო ბევდური ტერმინოლოგიური ლექსიკონების თავმოყრა-შესწავლა და ეროვნული მრავალდარგოვანი ტერმინოლოგიური ფონდის შექმნა, რომელსაც დაეყრდნობოდა ნორმატიული ლექსიკონების შექმნა მომავალში. საბოლოოდ კი ეროვნული ტერმინთბანკი საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებს უერთდება, რაც განაპირობებს საერთაშორისო სივრცეში მათ დამკვიდრებას.

ტერმინთბანკი უკვე აქვს მრავალ ქვეყანას: საფრანგეთს, შვედეთს, რუმინეთს, ირლანდიას, საბერძნეთს, სლოვაკეთს, ხორვატიას, ესტონეთს და სხვ. საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებში ეროვნული ტერმინოლოგიური მასალის განთავსება, ცხადია, მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც დადგინდება ეროვნული ნორმატიული ტერმინოლოგიური შესატყვისები. სამწუხაროდ, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს მდიდარი ტერმინოლოგიური მასალა, არსებობს სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, მათი გაციფრებისა და თავმოყრის შესაძლებლობა მხოლოდ 2015 წლიდან გახდა შესაძლებელი. შესაბამისად, ნაადრევია საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებში ქართული მასალის შეტანა, თუმცა გარკვეული ჯგუფები ცდილობენ თვითნებურად, საკუთარი გადანყვეტილებით მაინც შეიტანონ ქართული ტერმინები. ცხადია, ამ კერძო, შეუთანხმებელი ქმედების შედეგი ვერ იქნება დადებითი და საბოლოოდ ის ტერმინოლოგიური სიტყვლე, რომელიც უკვე არსებობს ქართულ ენაში, ასევე გადავა საერთაშორისო სივრცეში.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ტერმინოლოგიური მუშაობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მას ევროპის მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო აფინანსებს და მართავს. შესაბამისად, უპირველესი ამოცანა საქართველოში არის ქართული ტერმინთსაცავის განვითარებაში სახელმწიფოს აქტიური ჩართვა. ქართული ტერმინთსაცავი ვითარდება თსუ-ის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელობით შექმნილი აკადემიური ლექსიკონების ბაზაზე. მასში მონაწილეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიური საზოგადოება.

ქართული ტერმინთსაცავის სპეციალური პროგრამა საშუალებას გვაძლევს, და-მუშავდეს ტერმინოლოგიური მასალა წლების, დარგების, მანარმოებლების, განმარტებების, აგებულებისა თუ წარმომავლობის მიხედვით.

მოსხენებაში ამ საკითხებთან ერთად განვიხილავთ თანამედროვე ევროპულ გამოცდილებასაც. ვისაუბრებთ ასევე ქართული ტერმინთსაცავის შექმნის საქმეში ევროპის ტერმინოლოგთა ასოციაციის მხარდაჭერის შესახებ.

მედია ღლონტი

ქრისტიანული არჩევანი და თავისუფლება

კეთილგონიერი ადამიანი დაუცხრომლად ეძიებს პასუხს მარადიულ შეკითხვებზე: რა არის ჭეშმარიტი თავისუფლება? ვინ არის ჭეშმარიტად თავისუფალი? ამ შეკითხვებზე პასუხად, ღვთის სიტყვა ნებელომის, არჩევანისა და თავისუფლებისაკენ გვახედებს, კერძოდ:

იგავებით „დიდებული სერობა“ (ლუკა 14,16-23) და „მეფის ძის ქორნილი“ (მათე 22,2-13) უფალი კაცის იმ უმართებულო ნებელობას ამხელს, რომელსაც სანუთისოფლო სურვილთაგან ჰყრობილება განაპირობებს, ხოლო წმიდა პავლე მოციქული ღვთის ძიების მაცხოვრებელ გზაზე გვითითებს: „გულისკმა-ჰყოფდით, რაღ-იგი არს ნებაღ ღმრთისაღ“; „გამოიყადეთ, რაღ-იგი არს სათნო უფლისა“ (ეფესელთა 5, 10. 17).

ამ თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანში“ საგულისხმოდაა შეწყვილებული ორი აფორიზმი:

1) „რაც არა გნადღეს, იგი ჰქმენ, ნუ სდეგ წადილთა ნებასა“, რომლითაც პოეტი უბადლო მხატვრული ფორმულირებით მიგვანიშნებს ტარიელის „ნადილთა ნებიდან“ აღმოცენებულ უკეთურ არჩევანზე;

2) „ზედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცა-გხვდების“, რომელშიც „წადილთა ნებას“ კეთილად ენაცვლება ღვთიუმოსანონი ნდომა თუ ცდა კაცისა („ზედი ცდაა“) და უკუეფნილად უპირისპირდება ღვთის ნება („ღმერთსა უნდეს“), რითაც პოეტი ავითარებს საზრისს ღვთის ნებისა და კაცის ნების-ყოფის თანა-ზიარებაზე – სინერგიაზე.

ქართველმა სიტყვათმეოქმედმა თხზული ქართ. თავის-უფალის კომპონენტები საგანგებო სემანტიკური ფუნქციით აღჭურვა და იმ უსამართლოდ მივიწყებული ქრისტიანული შინაარსით შემოსა, რომელიც საიდუმლოდაა დავანებული წმიდა წერილსა და ქრისტიანულ ეგზეგეზაში, კერძოდ: თავისუფალ-ში უცილობლადაა მოაზრებული არა ის, ვინც საკუთარი თავის უფლად საკუთარსავე თავს განაგებს, არამედ იგი, ვისაც თავის პატრონად უფალი ჰყავს და თავის ნება-სურვილებს უფლის ნებისაებრ წარმართავს, შდრ.:

„და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ... უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალი იყვნეთ...“ (იოანე 8,32; 8,36); იხ.: სამოციქულოს თარგმანება ტიმოთეს მიმართ პირველი ეპისტოლესი (3,14-16).

ნინო ციხიშვილი

იულიუს ასფალგი - ქართული კულტურის მკვლევარი (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

გერმანელმა ქართველოლოგმა იულიუს ასფალგმა (1919 – 2001 წწ.) დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. იგი დაუღალავად იკვლევდა ქართველოლოგიის პრობლემებს და სისტემატურად აქვეყნებდა როგორც დამოუკიდებელ გამოცემებად, ისე სტატიების სახით სხვადასხვა გამოცემაში („Lexikon des Mittelalters“, „Kleines Wörterbuch des christlichen Orients“, „Theologische Realenzyklopädie“, „Le Museon“, „Bedi Kartlisa“, „Oriens Christianus“, „Byzantinische Zeitschrift“). ასფალგი თითქოს ყურს უგდებდა ქართული კულტურის მაჯისცემას, გერმანელი ორიენტალისტი სისტემატიურად ეხმაურებოდა ქართველოლოგიის დარგში გამოქვეყნებულ ნაშრომებს, ქართველ მეცნიერთა იუბილეებსა და სხვა სიახლეებს.

ჯერ კიდევ 1965 წელს ი. ასფალგი გერმანიაში ქართველოლოგიური კვლევების ისტორიით დაინტერესდა და შურნალში ამის შესახებ დაბეჭდა მოკლე მიმოხილვა „ქართული კვლევები გერმანიაში“.

ი. ასფალგმა ჯეროვნად შეისწავლა საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორია და რამდენიმე გამოკვლევაც დაწერა.

ქართულ ენას კარგად დაუფლებულმა გერმანელმა ორიენტალისტმა ქართულ ენასა და დამწერლობასაც მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომი. მეცნიერმა განსაკუთრებით კარგად შეისწავლა ძველი ქართული ენა და რენე ცვოლანეკთან ერთად 1976 წელს 76-გვერდიანი სახელმძღვანელო „ძველი ქართულის გრამატიკა“ (*Altgeorgische Grammatik*) გამოსცა. მან 1955 წელს მიხეილ თარხნიშვილთან ერთად გერმანულ ენაზე გამოსცა „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია“, (*Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze*), რომელიც, ძირითადად, ვ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის“ I ტომს ემყარება.

აღსანიშნავია ძველი ქართული თარგმანებისადმი გერმანელი ორიენტალისტის ინტერესი, რამაც განსაზღვრა კიდევ მისი საჰაბილიტაციო ნაშრომის („*მცირე წინასწარმეტყველთა (ამოსი, მიქაია, იონა, სოფონია, მაქარია) ძველი ქართული თარგმანები*“ („*Georgische Übersetzungen der Propheten Amos, Michaeas, Sophonias und Zacharias*“)) შინაარსი.

ი. ასფალგი დაინტერესებული იყო ქართული ხელნაწერებითაც. მან 1963 წელს ვისბადენში გამოსცა წიგნი „ქართული ხელნაწერები“ („*Georgische Handschriften*“). წიგნში წარმოდგენილია 15 ქართული ხელნაწერი, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა ქალაქის წიგნსაცავებშია დაცული. მისი ღირსება სწორედ ისაა, რომ აქ პირველად ქართული ხელნაწერები აღწერილია თანამედროვე მეცნიერული პრინციპების მიხედვით.

ქეთევან ჭილაია

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მეტყველების მორფო-სინტაქსური თავისებურებები

150 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისელმა ექიმმა ჯონ ლენგდონ დაუნმა გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც დანარჩენებისაგან საერთო სახასიათო ნიშნებით გამორჩეული ბავშვების ჯგუფი პირველად აღწერა. საერთო სახასიათო ნიშნებითაა გამორჩეული მათი მეტყველებაც.

თითოეული ბავშვის შემთხვევაში ეს სინდრომი სხვადასხვაგვარად ვლინდება, მათ განსხვავებული უნარები და შესაძლებლობები აქვთ, მაგრამ ძალიან ბევრი რამ საერთოა მათი მეტყველების განვითარებაში. მოგეხსენებათ, რომ მრავალ სხვა პრობლემას შორის, რომლებიც თავს იჩენს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მათი მეტყველების განვითარება. ამ კატეგორიის ბავშვთა მეტყველებაზე მუშაობისას ორი შემთხვევა უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან:

პირველი: სმენის პრობლემა. ძალიან ხშირად დაუნის სინდრომს თან სდევს სხვადასხვა ხარისხის სმენის დარღვევები და, აქედან გამომდინარე, მეტყველების განვითარებისა და არტიკულაციის პრობლემები ჩნდება.

მეორე: შემთხვევა, როდესაც სმენასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

მრავალწლიანი კვლევებითა და დაკვირვებებით დადგინდა, რომ ასეთი პირები სხვადასხვაგვარად ითვისებენ ენის ნაწილებს. მათ შედარებით უკეთ აქვთ განვითარებული სემანტიკა, შეუძლიათ სიტყვათა მარაგის გარკვეული რაოდენობის ათვისება და შემდგომ უკვე ამ სიტყვების სოციალურ-ინტერაქციული გამოყენება; ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მათი მეტყველების განვითარებაში სემანტიკა და პრაგმატიკა შედარებით ძლიერი მხარეა.

ძირითადი სირთულე მორფო-სინტაქსია. მთელი რიგი დარღვევებისა გვხვდება სწორედ ამ ნაწილში. დროის ფორმირებებთან, სუფიქს-პრეფიქსებთან. დამახასიათებელია ძალიან მოკლე წინადადებები. როგორც წესი, ისინი უფრო მეტს აღიქვამენ, ვიდრე გადმოსცემენ.

ჩვენ შევეცადეთ, ჩავგვეტარებინა საპილოტე კვლევა და გაგვერკვია დაუნის სინდრომის მქონე ქართულ ენაზე მოსაუბრე ბავშვების მეტყველებისათვის დამახასიათებელი სირთულეები გრამატიკულად სწორი დროის ფორმების ხმარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად დადასტურდა მათთან მხედველობითი მესხიერების უპირატესობა.

მოვლენა, რომელიც დაფიქსირდა ზმნის წარსული დროის ფორმების წარმოების დროს, იყო, ასევე, ჰიპერრეგულაცია.

საპილოტე კვლევის შედეგები, ძირითადად, ადასტურებენ ამ ბავშვების მეტყველებისათვის დამახასიათებელ ზოგად სირთულეებს და ავლენენ ქართული ენის გრამატიკული სისტემის თავისებურებებით გამოწვეულ სპეციფიკურ პრობლემებს.

გიორგი ჭლარკავა

ეტიმოლოგიური ძიებანი: სვანური მურყუამ

სვანეთის ყოფა-ცხოვრების, სვანური ენისა და კულტურის შესახებ ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ ლინგვისტური სამეცნიერო ლიტერატურიდან ბევრი რამ არის ცნობილი. ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანია სვანური კოშკი (სვან. მურყუამ), რომელსაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს სვანეთში გავრცელებულ შენობა-ნაგებობებს შორის. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, საქართველოში კოშკსა და გოდოლზე ადრე კოშკის ტიპის თავდაცვითი ნაგებობის სახელწოდება „მურყვამი“ ან „მურყვანი“ უნდა ყოფილიყო, რის დასტურადაც მეცნიერს მოჰყავს ხევსურული, ფშაური და თუშური სარწმუნოებრივი წარმოდგენით ღვთაება „პირიმზის“ სახელი – „მურყვნოსელი“¹. ტერმინ „მურყამის“ სიძველეზე მიანიშნებს ღვთაება კვირიასადმი მიძღვნილი ადრესაგაზაფხულო დღესასწაულთა ციკლში შემავალი ერთ-ერთი სანესო ქმედება – „მურყამობა“, რომელიც სვანეთში გვიანობამდე შემორჩენილა². აღსანიშნავია ისიც, რომ სვანეთში დღესაც გვხვდება „მურყამ“ სიტყვის სხვადასხვა მოდიფიკაციის შედეგად შექმნილი გეოგრაფიული სახელები³, რაც აგრეთვე მხარს უჭერს ამ ლექსიკური ერთეულის სიძველეს.

მიუხედავად იმისა, რომ სვანური „მურყამ“ არაერთგზის მოქცეულა სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში, დღემდე არ არის ახსნილი თვით ამ სიტყვის ეტიმოლოგია. ვფიქრობთ, პირველ რიგში, საანალიზო ფორმაში უნდა გამოიყოს რყ<რიყ//რეყ ძირი, რომელიც, სვანურთან ერთად, ქართულსა და მეგრულ-ლაზურშიც დაკავშირებულია მდინარის ან ზღვის ქვიან ნაპირთან. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ, როგორც ცნობილია, თავის დროზე სვანეთში კოშკის საშენ მასალად, ძირითადად, სულ რიყის ქვას იყენებდნენ. მოხსენებაში სათანადო ემპირიული მასალის ფონზე ვრცლად იქნება საუბარი ლექსემა „მურყამში“ არსებულ სხვა ფორმანტთა შესახებაც.

1 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ., 44-45.

2 ა. ქალღანი, კოშკების სამყაროში, თბ., 1978, გვ., 77.

3 მაგალითისთვის იხ. მ. საღლიანი, რამდენიმე სვანური (ჩოლურული) ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბ., 2017, გვ. 44-70.

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

